**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N**

ქ. თბილისი _____ ივლისი 2021 წელი

**შემსყიდველი:** სსიპ საქართველოს ეროვნული ბანკი, ვიცე-პრეზიდენტის პაპუნა ლეჟავას სახით;
**მისამართი:** თბილისი, 0114, სანაპიროს ქ. N2;
**საიდენტიფიკაციო კოდი:** 203 824 148.

**მიმწოდებელი:** შპს „უნივერსალი 2017“, დირექტორის გიგა ხვედელიძის სახით;
**მისამართი**: ქ. თბილისი, ჟინვალის ქ. N37ა
**საკონტაქტო ინფორმაცია:** ტელ: 599240936, ელ.ფოსტა: giga.xvedelidze@gmail.com
**საიდენტიფიკაციო კოდი:** 400203837
**საბანკო რეკვიზიტები:** სს საქართველოს ბანკი, BAGAGE22, GE80BG0000000202582900

ერთის მხრივ შემსყიდველი და მეორეს მხრივ, მიმწოდებელი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, ელექტრონული ტენდერის (სატენდერო განცხადება NAT210011673) ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი**

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის სათაო ოფისის შენობაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე (მდებარე, თბილისი, სანაპიროს №2) შიდა და გარე სარემონტო სამუშაოების შესყიდვა (შემდგომში „სამუშაო“) ამ ხელშეკრულების, დანართი N1-ის და დანართი N2-ის შესაბამისად (CPV კოდი – 45400000).

1.2. დანართი N1 და დანართი N2 წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. **ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

2.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი, რომლის მიზანია სამუშაოს შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

2.2. ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ სებ–ის შესყიდვების და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი და ლოჯისტიკის განყოფილების უფროსი ან/და მათი მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირი.

2.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

3. **სამუშაოს მიღება ჩაბარების წესი**

3.1. მიმწოდებელმა სამუშაო უნდა განახორციელოს ერთიანად ან ეტაპობრივად საქართველოს ეროვნული ბანკის სათაო ოფისში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, მისამართზე - თბილისი, სანაპიროს ქ. N2.

3.2. მიმწოდებელმა სამუშაო უნდა დაიწყოს ხელშეკრულების დადების შემდეგ, შემსყიდველის მიერ მითითებულ დღეს. სამუშაოების წარმოება უნდა მოხდეს არასამუშაო საათებში (სამუშაო დღეებში 18:00 საათის შემდეგ ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ უქმე დღეებში).

3.3. სარემონტო სამუშაოები დასრულებული უნდა იქნეს დაწყებიდან 21 (ოცდაერთი) დღის ვადაში.
3.4. სამუშაოს ან მისი ნაწილის დასრულების თარიღად ჩაითვლება მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისადმი შესაბამისი (შუალედური და/ან საბოლოო) შესრულებულ სამუშაოთა აქტის (ფორმა N2) წარდგენის თარიღი;
3.5. სამუშაო ჩაითვლება შესრულებულად მხოლოდ მხარეთა მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირების მიერ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
3.6. საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველს წარმოადგენს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან სხვა შესაბამისად აკრედიტებული პირის მიერ დადასტურებული და მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი შესრულებულ სამუშაოთა აქტი/აქტები (ფორმა №2). ამ პუნქტში მითითებული ექსპერტიზის ხარჯს ანაზღაურებს შემსყიდველი;
3.7. სამუშაოს შესრულების შემდეგ ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი;
3.8. შემსყიდველის მხრიდან 3.5. პუნქტში აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტის ხელმომწერი პირია სებ–ის შესყიდვების და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი.

## 4. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

4.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს საერთო ღირებულება შეადგენს 6 789.00 (ექვსი ათას შვიდას ოთხმოცდაცხრა) ლარს („ხელშეკრულების ფასი“), წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ის .
4.2. ხელშეკრულების ფასი მოიცავს სამუშაოს სრულყოფილად შესრულებისათვის საჭირო ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.
4.3. ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარში, შემდეგი წესით:
   - მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისადმი წარდგენილი შესაბამისი ფორმა N2-ის ღირებულების 90% - არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა აღნიშნული ფორმა N2-ის და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (იმისდამიხედვით, რომელი უფრო გვიან მოხდება) წარმოდგენიდან;
   - ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს დარჩენილი თანხა - არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან.
4.4. დასაშვებია ხელშეკრულების ღირებულების ნაწილის (არაუმეტეს 30%-სა) წინასწარ გადახდა, მიმწოდებლის მიერ წინასწარი გადახდის საბანკო გარანტიის წარმოდგენის პირობით. საბანკო გარანტია უნდა იყოს გადასახდელი ავანსის იდენტურ თანხაზე და მისი მოქმედების ვადა, სულ მცირე 30 დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოთა დასრულების ვადას.
4.5. ავანსის დაქვითვა მოხდება თითოეული გადახდიდან პროპორციულად.

## 5. მხარეთა უფლება–მოვალეობები

5.1. შემსყიდველი ვალდებულია:
   ა) უზრუნველყოს ტერიტორიების მზადყოფნა სამუშაოების დასაწყებად;
   ბ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას შეატყობინოს მიმწოდებელს ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ, რომელმაც შესაძლებელია გამოიწვიოს სამუშაოების შეფერხება;
   გ) შეატყობინოს მიმწოდებელს სამუშაოების დაწყების თარიღი;

დ) დროულად (წერილობითი ან ზეპირად) აცნობოს მიმწოდებელს სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

ე) ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

5.2. შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე, მათ შორის შეამოწმოს გამოყენებული მასამელის შესაბმისობა ხელშეკრულების დანართი N2-ის - „ტექნიკური დავალება“ მოთხოვნებთან;

ბ) განაცხადოს უარი უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების მიღებაზე ან უხარისხო მასალების გამოყენებაზე.

5.3. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

5.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) სამუშაოები აწარმოოს მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების, ტექნიკური დავალების და ხელშეკრულებაზე თანდართული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად;

ბ) დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

გ) სამუშაოების შესრულების პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაო შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;

დ) მიიღოს აუცილებელი ზომები სამშენებლო ობიექტზე ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად, ასევე სამუშაოები შეასრულოს ეკოლოგიურად მისაღები გზით და მინიმუმამდე დაიყვანოს მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვერის გავლენა;

ე) სამუშაოების დასრულების შემდეგ უზრუნველყოს სამშენებლო ობიექტის დასუფთავება და მიმდებარე გარემოს სათანადო დონეზე აღდგენა;

ვ) სამუშაოების შესასრულებლად საჭირო აუცილებელი მასალები, აღჭურვილობა და მექანიზმების მოწოდება უზრუნველყოფილი უნდა იქნას მიმწოდებლის მიერ საკუთარი რესურსებით და იგი პასუხისმგებელი უნდა იყოს აღნიშნული მასალების, აღჭურვილობის და მექანიზმების უსაფრთხოებაზე. მათი დაკარგვის ან გაუმართაობის შედეგად გამოწვეული რისკი ეკისრება მიმწოდებელს.

5.5. მიმწოდებელს უფლება აქვს მოთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება.

## 6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 20%-ის ოდენობით.

6.3. ხელშეკრულებით შესასრულებელი სამუშოების ვადაგადაცილებით ან/და წუნით შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა - შეუსრულებელი ან/და წუნით შესრულებული სამუშაოს ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობაში არ ჩაითვლება იმ დღეების რაოდენობა, რომელიც დაჭირდება სსიპ

„ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან სხვა შესაბამისად აკრედიტებული პირის მიერ დასკვნის გაცემას.

6.4. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შეუსრულებელი ვალდებულების 10%-ის ოდენობით.

6.5. პირგასმტეხლოს გადახდა შესაძლებელია მოხდეს მიმწოდებლისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.

6.6. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0,1%–ის ოდენობით.

6.7. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

6.8. იმ შემთხვევაში, თუ 6.3 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 6%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის მოტივით. ამ შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება 6.2 ან 6.4 პუნქტებით გათვალისწინებული სანქციები.

## 7. გარანტია

7.1. შესრულებული სამუშაოებისა და დამონტაჟებული საევაკუაციო კარების საგარანტიო ვადა შეადგენს 5 წელს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან.

7.2. საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი სახსრებით, შემსყიდველის მიერ დადგენილ გონივრულ ვადაში გამოასწოროს ნებისმიერი ხარვეზი, თუ ის გამოწვეულია უხარისხო მასალების გამოყენებით ან სამუშაოს უხარისხოდ შესრულებთ.

7.3. საგარანტიო პირობების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებლის მიმართ გამოყენებული იქნება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციები.

## 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 9. კონფიდენციალურობა და ინფორმაციული უსაფრთხოება

9.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას დაიცვას ამ ხელშეკრულების ფარგლებში შემსყიდველის მხრიდან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

9.2. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე არ გაამჟღავნოს ან გახადოს ხელმისაწვდომი ნებისმიერი ფორმით და ნებისმიერი სახით კონფიდენციალური ინფორმაცია მესამე პირებისათვის ან განიხილოს მესამე პირთან ასეთი კონფიდენციალური ინფორმაციის შინაარსი. მიმწოდებელს შეუძლია ასეთი კონფიდენციალური ინფორმაცია შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე გასცეს საკუთარ თანამშრომლებზე და მხოლოდ იმ თანამშრომლებზე და იმ მოცულობით, რაც საჭიროა მათი მხრიდან ფუნქციების შესასრულებლად.

9.3. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს, ამ მუხლის შინაარსის თავისი თანამშრომლებისთვის გაცნობა და კონფიდენციალურობის მოთხოვნების მკაცრი დაცვა.

9.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია მიაწოდოს კონფიდენციალური ინფორმაცია მის ქვეკონტრაქტორებს, რათა მათ შეასრულონ სამუშაოსთან დაკავშირებული ვალდებულებები. კონფიდენციალური ინფორმაციის მიწოდებამდე ქვეკონტრაქტორებმა მიმწოდებელთან უნდა დადონ კონფიდენციალური ინფორმაციის არ გამჟღავნების შესახებ შეთანხმება, რომელიც შესაბამისობაში იქნება წინამდებარე მუხლთან.

9.5. ამ მუხლის 9.6 პუნქტის დაურღვევლად, წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც.

9.6. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ორივე მხარე შეთანხმდება ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შეწყვეტაზე, მხარეებმა ერთმანეთს უნდა დაუბრუნონ ყველა ის კონფიდენციალური ინფორმაცია, რაც მათ მიიღეს წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში ან შეთანხმებით გაანადგურონ ის.

9.7. მომწოდებელი ვალდებულია დაიცვას შემსყიდველის შესახებ ინფორმაციასთან (შემდგომში: ინფორმაცია) დაკავშირებით ISO/IEC 27001 სტანდარტით განსაზღვრული, ქვემოთ მოცემული მოთხოვნები:

ა) მომწოდებელი ვალდებულია სებ-ის მიერ ელექტრონულ ფორმატში მიწოდებულ ინფორმაციაზე განახორციელოს ლოგიკური ან ფიზიკური წვდომის კონტროლი, რათა არ დაირღვეს ინფორმაციის კონფიდენციალობა, ხელმისაწვდომობა და მთლიანობა;

ბ) მომწოდებელი ვალდებულია სებ-ის მიერ მატერიალური ფორმით მიწოდებული ინფორმაცია შეინახოს უსაფრთხოდ, რათა არ დაირღვეს ინფორმაციის კონფიდენციალობა, ხელმისაწვდომობა და მთლიანობა.

გ) მომწოდებელი ვალდებულია წინამდებარე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულებიდან უმოკლეს ვადებში, ელექტრონული ან/და მატერიალური სახით არსებული კონფიდენციალური ინფორმაცია, გაანადგუროს ისე, რომ არ მოხდეს მისი აღდგენა, რათა არ გახდეს ხელმისაწვდომი არაავტორიზებულ პირთათვის.

## 10. შრომის უსაფრთხოება

10.1. მიმწოდებელი აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ შემსყიდველთან ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობისას იცავს შრომის უსაფრთხოების სფეროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და იღებს ყველა საჭირო და პროპორციულ ზომას, რათა უზრუნველყოს მისი დასაქმებულების შრომის უსაფრთხოება შემსყიდველის სამუშაო სივრცეში.

10.2. მიმწოდებლის დასაქმებული ვალდებულებია შემსყიდველის სამუშაო სივრცეში დაიცვას შემსყიდველის შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული დოკუმენტებით დადგენილი მოთხოვნები და მისი მითითებები/ინსტრუქციები, რომელსაც დეტალურად გაეცნო ამ ხელშეკრულების გაფორმებამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში ეროვნული ბანკი თავისუფლდება ყველანაირი პასუხისმგებლობისგან.

10.3. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების წარმოებისას სრულად დაიცვას საქართველოში კორონა ვირუსის „COVID-19“-ის გავრცელების პრევენციასთან დაკავშირებული მოქმედი მარეგულირებელი და ნორმატიული დოკუმენტებით განსაზღვრული მოთხოვნები/პროტოკოლი.

## 11. დაუძლეველი ძალა

11.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

11.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება  დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

## 12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს სულ მცირე 30 დღის განმავლობაში მხარეთა მიერ ვალდებულებების სრულად შესრულების დღიდან, მაგრამ არაუგვიანეს 2021 წლის 31 დეკემბრისა, გარდა მე-6 და მე-7 მუხლებისა, რომლებიც ძალაშია საგარანტიო ვადის გასვლამდე.

## 14. ზოგადი დებულებები

14.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

14.2. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ  თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს, ერთი ეგზემპლარი შემსყიდველს).

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

| | |
|---|---|
| **შემსყიდველის მხრიდან:** | **მიმწოდებლის მხრიდან:** |
| ვიცე-პრეზიდენტი | დირექტორი |
| პაპუნა ლეჟავა | გიგა ხვედელიძე |
| _____ | _____ |

Giga Khvedelidze

Digitally signed by Giga Khvedelidze
Date: 2021.07.26 14:24:34 +04'00'

**დანართი N1**

| # | სამუშაოთა დასახელება | განზ | მოცულობა | მასალა | | ხელფასი | | სამშენებლო | | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ერთ. ფასი | სულ | ერთ. ფასი | სულ | ერთ. ფასი | სულ | |
| | **გარე პერიმეტრი და 0 სართული** | | | | | | | | | |
| 1 | ლითონის მილის დ=500 ფითხისა და საღებავის მოხსნა-გასუფთავება | მ² | 21.00 | 0.00 | 0.00 | 4.00 | 84.00 | 1.00 | 21.00 | 105.00 |
| 2 | ლითონის მილის დამუშავება, ბადის შემოკვრა, შეფითხვა და შეღებვა ორ ფენად | მ² | 21.00 | 12.00 | 252.00 | 7.00 | 147.00 | 2.00 | 42.00 | 441.00 |
| 3 | 0 სართულზე ფასადზე არსებული მინა პაკეტის დემონტაჟი დასაწყობებით | მ² | 2.80 | 0.00 | 0.00 | 20.00 | 56.00 | 0.00 | 0.00 | 56.00 |
| 4 | 0 სართულზე ფასადის მინის ვიტრაჟში საევაკუაციო ალუმინის კარის მოწყობა | მ² | 2.80 | 650.00 | 1820.00 | 50.00 | 140.00 | 12.50 | 35.00 | 1995.00 |
| | **317-318 ოთახები** | | | | | | | | | |
| 1 | თაბაშირ-მუყაოს ტიხრის დემონტაჟი | მ² | 11.70 | 0.00 | 0.00 | 2.00 | 23.40 | 0.00 | 0.00 | 23.40 |
| 2 | მ.დ.ფ კარის დემონტაჟი (2.2*0.74) | მ² | 1.63 | 0.00 | 0.00 | 20.00 | 32.60 | 0.00 | 0.00 | 32.60 |
| 3 | ტიხრების მოწყობა თაბაშირ-მუყაოთი (ლითონის კარკასზე) არსებული კარის ადგილზე | მ² | 1.63 | 20.00 | 32.60 | 12.00 | 19.56 | 1.55 | 2.53 | 54.69 |
| 4 | არსებული მდფ-ის პანელის გაკვრა კედელზე | მ² | 1.63 | 0.00 | 0.00 | 20.00 | 32.60 | 0.00 | 0.00 | 32.60 |
| 5 | იატაკების და ავეჯის შეფუთვა ცელოფანით | მ² | 90.00 | 2.00 | 180.00 | 0.50 | 45.00 | 0.00 | 0.00 | 225.00 |
| 6 | მდფ-ის პლინთუსის დემონტაჟი | გ/მ | 8.00 | 0.00 | 0.00 | 1.00 | 8.00 | 0.00 | 0.00 | 8.00 |
| 7 | იატაკზე არსებული ხალიჩის მოწყობა დაწებებით (სპეც წებოს გამოყენებით) | მ² | 1.50 | 40.00 | 60.00 | 20.00 | 30.00 | 0.00 | 0.00 | 90.00 |
| 8 | კედლების შეფითხვნა-დამუშავება და შეღებვა წყალემულსიური საღებავით | მ² | 80.00 | 4.23 | 338.40 | 13.00 | 1040.00 | 0.63 | 50.40 | 1428.80 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | ჩამრთველის დემონტაჟი და ახალ ადგილზე მონტაჟი | ცალი | 1.00 | 0.00 | 0.00 | 9.78 | 9.78 | 0.00 | 0.00 | 9.78 |
| 10 | როზეტის დემონტაჟი და ახალ ადგილზე მონტაჟი | ცალი | 2.00 | 0.00 | 0.00 | 10.00 | 20.00 | 0.00 | 0.00 | 20.00 |
| | **ჯამი** | | | | | | | | | **4521.87** |
| | **სატრანსპორტო ხარჯი (არაუმეტეს)** | **2%** | | | | | | | | **90.44** |
| | **ჯამი** | | | | | | | | | **4612.30** |
| | **ზედნადები ხარჯები (არაუმეტეს)** | **10%** | | | | | | | | **461.23** |
| | **ჯამი** | | | | | | | | | **5073.53** |
| | **მოგება (არაუმეტეს)** | **8%** | | | | | | | | **405.88** |
| | **ჯამი** | | | | | | | | | **5479.42** |
| | **გაუთვალისწინებელი ხარჯები (არაუმეტეს)** | **5%** | | | | | | | | **273.97** |
| | **ჯამი** | | | | | | | | | **5753.39** |
| | **დღგ** | **18%** | | | | | | | | **1035.61** |
| | **ჯამი** | | | | | | | | | **6789.00** |

**შემსყიდველის მხრიდან:**
ვიცე-პრეზიდენტი

პაპუნა ლეჟავა
_____

**მიმწოდებლის მხრიდან:**
დირექტორი

გიგა ხვედელიძე
_____

## დანართი N2

## ტექნიკური დავალება

1. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქართველოს ეროვნული ბანკის სათაო ოფისში:
   1.1. N317 და N318 სამუშაო ოთახებს შორის არსებული, თაბაშირ-მუყაოს კედლის დემონტაჟი, N318 ოთახში არსებული MDF ის კარის დემონტაჟი და მის ნაცვლად თაბაშირ-მუყაოს ტიხრის მონტაჟი, დემონტირებული და დამონტაჟებული ტიხრების მოპირკეთება, მთლიანი ოთახის სამღებრო სამუშაოები (იხ. სურათი N1);
   1.2. მთავარ შემოსასვლელთან არსებული ვიტრაჟის დემონტაჟი და დემონტირებულ ადგილზე საევაკუაციო მინა-ალუმინის კარის მონტაჟი (იხ. სურათი N2);
   1.3. გარე პერიმეტრზე საყრდენი ბოძის შეფითხვნა-შეღებვა (იხ. სურათი N3).

2. მიმწოდებლის მიერ შესასრულებელ სამუშაოთა დეტალური ჩამონათვალი მოცემულია დანართში N1.

3. სამუშაოები უნდა შესრულდეს დანართი N1-ში მოცემული კონკრეტული სამუშაოების, მოცულობების და პირობების შესაბამისად.

4. სამუშაოები უნდა წარიმართოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების შესაბამისად.

5. მოთხოვნები ძირითადი მასალების და სამუშაოს შესრულების მიმართ:
   5.1. თაბაშირ-მუყაოს ფილები და მათი კარკასის ყველა ელემენტი (როგორც ტიპოზომების, ისე ხარისხის თვალსაზრისით) უნდა იყოს KNAUF-ის წარმოების შესაბამისი მასალების ექვივალენტური, კერძოდ:
   - თაბაშირ-მუყაოს ფილა - დათხელებული ნაწიბურებით (KNAUF-ის წარმოების VK-ს ან HRVK-ს ექვივალენტური), ГОСТ 6266-97 შესაბამისად;
   5.2. საღებავი ინდა იყოს ეკოლოგიურად სუფთა, VERNILAC-ის ექვივალენტური ან უკეთესი ხარისხის;
   5.3. სამონტაჟო სქემით და ტექნოლოგიით გათვალისწინებული ყველა სამუშაო, მასალა (დამხმარე მასალების ჩათვლით) გათვალისწინებული უნდა იყოს ხარჯთაღრიცხვაში.

6. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების წარმოებისას მკაცრად დაიცვას შრომის უსაფრთხოების სფეროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

7. სამუშაოების წარმოებისას სრულად დაიცვან საქართველოში კორონა ვირუსის „COVID-19“-ის გავრცელების პრევენციასთან დაკავშირებული მოქმედი მარეგულირებელი და ნორმატიული დოკუმენტებით განსაზღვრული მოთხოვნები/პროტოკოლი.

8. დამატებითი ინფორმაცია და მოთხოვნები:
   8.1. სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მასალების, ნაკეთობების და კონსტრუქციების მოწოდება ობიექტზე განხორციელდება მიმწოდებლის მიერ;
   8.2. სამუშაოების პროცესში გამოყენებული ყველა მასალა უნდა იყოს ახალი და აკმაყოფილებდეს შესაბამის სფეროში არსებულ ხარისხის უმაღლეს სტანდარტებს;
   8.3. შემსყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს შესაბამისობის სერთიფიკატები გამოსაყენებელ მასალაზე;
   8.4. სარემონტო სამუშაოებისათვის განკუთვნილი მოსაპირკეთებელი მასალები უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან;
   8.5. სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობისას შესრულებულ ცალკეულ ფარულ სამუშაოებზე მიმწოდებლის მიერ, შემსყიდველის უფლებამოსილ პირთან შეთანხმებულად, უნდა მომზადდეს ფარული სამუშაოების აქტები. აქტებს თან უნდა ერთვოდეს შესაბამისი ფოტო მასალა;

8.6. მიმწოდებელმა საკუთარი ხარჯებით უნდა უზრუნველყოს სამუშაოს განხორციელებისას აღმოჩენილი ნებისმიერი დაზიანებების, დეფექტის ან/და ხარვეზის აღმოფხვრა;

8.7. მიმწოდებელმა საკუთარი ხარჯებით უნდა უზრუნველყოს ობიექტის დასუფთავება და სამშენებლო ნაგვის გატანა.

**შემსყიდველის მხრიდან:**
ვიცე-პრეზიდენტი

პაპუნა ლეჟავა

**მიმწოდებლის მხრიდან:**
დირექტორი

გიგა ხვედელიძე

_____

საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia